ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302302447**
თარიღი: **24/01/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ

მ/წლის 16 იანვრის N30-302301640 მომართვით წარმოდგენილი „2023-2023 წლების „მწვანე მუნიციპალიტეტის სტრატეგია - ლანჩხუთის“ დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით დამატებით წარმოგიდგენთ მწვანე მუნიციპალიტეტი - ლანჩხუთის 2023 – 2028 წწ სტრატეგიის განხორციელების გეგმას.

ვინაიდან აღნიშნული გეგმის დამტკიცება მიზანშეწონილია ჩვენს მიერ უკვე წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 მუხლით. დამატებით წარმოგიდგენთ „2023-2023 წლების „მწვანე მუნიციპალიტეტის სტრატეგია - ლანჩხუთის“ დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების კორექტირებულ ვარიანტს.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

2800, ქ.ლანჩხუთი, კოსტავას ქ.37, ელ.ფოსტა: Lanchkhuti@yahoo.com

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N

2023 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

2023-2023 წლების „მწვანე მუნიციპალიტეტის სტრატეგია - ლანჩხუთის“ დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე კოდექსის 61–ე მუხლის მე–2 ნაწილის შესაბამისად

მუხლი 1. დამტკიცდეს 2023-2023 წლების „მწვანე მუნიციპალიტეტის სტრატეგია - ლანჩხუთი“ დანართის N1-ის შესაბამისად;

მუხლი 2. დამტკიცდეს მწვანე მუნიციპალიტეტი - ლანჩხუთის 2023 – 2028 წწ სტრატეგიის განხორციელების გეგმა დანართის N2-ის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

მწვანე მუნიციპალიტეტი - ლანჩხუთის 2023 – 2028 წწ სტრატეგიის განხორციელების გეგმა

1. სტრატეგიული მიმართულება: წყალი

ხედვა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება სასმელი წყალი, რომლის ხარისხიც მკაცრად კონტროლდება. დასახლებები უზრუნველყოფილია გამართული წყალარინების სისტემით. ქალაქ ლანჩხუთში ფუნქციონირებს კანალიზაციის ქსელი რომელიც მიერთებულია საერთაშორისო სტანდარტების მქონე გამწმენდ ნაგებობასთან.

1.1. სტრატეგიული მიზანი: წყალმომარაგების ქსელის ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	წყალმომარაგების სისტემის გავრცელება ყველა დასახლებაში	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებისთვის, სადაც ჯერ კიდევ არ არის წყალგაყვანილობის სისტემა, დაპროექტება და მშენებლობის განხორციელება	გაუმჯობესებულია ქალაქ ლანჩხუთსა და 55 სოფელის საცხოვრებელის პირობები წყლის მიწოდების საფუძველზე	წყალგაყვანილობის სისტემა მოწყობილია 55-ივე სოფელში
2	მოსახლეობისთვის სასმელი წყლის უწყვეტად მიწოდება	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	წყლის გამწმენდი ნაგებობების და / ან გაწმენდის სისტემის ამოქმედება მუნიციპალიტეტის დასახლებებში	მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება სასმელი წყალი	120 000 000
3	სასმელი წყლის მიწოდებისა და ხარისხის უზრუნველყოფა.	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	სასმელი წყლის რეგულარული მონიტორინგის სისტემის შექმნა მუნიციპალიტეტის მასშტაბით	მოსახლეობას მუდმივად მიეწოდება ხარისხიანი სასმელი წყალი.	25000

1.2. სტრატეგიული მიზანი: ქალაქ ლანჩხუთში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	ჩამდინარე წყლების ეფექტური მონიტორინგის სისტემის შემუშავება	ქალაქი ლანჩხუთი	ქალაქ ლანჩხუთისთვის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ მონიტორინგის სისტემური გრაფიკის შედგენა და იმპლემენტაცია	უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების გარემო მოსახლეობისა და ტურისტებისთვის	0
2	ქალაქ ლანჩხუთში არსებული მოძველებული წყალარინების რეაბილიტაცია	ქალაქი ლანჩხუთი	ქალაქ ლანჩხუთში არსებული მოძველებული წყალარინების რეაბილიტაცია ქუჩების მიხედვით მონიტორინგის დასკვნების საფუძველზე	უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების გარემო მოსახლეობისა და ტურისტებისთვის	700 000
3	ახალი წყალარინების მშენებლობა ქალაქ ლანჩხუთის ქუჩებში	ქალაქი ლანჩხუთი	სანიაღვრე არხების გარეშე არსებული ქუჩების იდენტიფიცირება, სამშენებლო პროექტების მომზადება და არხების მშენებლობის უზრუნველყოფა	უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების გარემო მოსახლეობისა და ტურისტებისთვის	1 100 000

1.3. სტრატეგიული მიზანი: წყალარინების სისტემის განვითარება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	ჩამდინარე წყლების ეფექტური მონიტორინგის სისტემის შემუშავება	მუნიციპალიტეტის სოფლები	სოფლებისთვის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ მონიტორინგის სისტემური გრაფიკის შედგენა და იმპლემენტაცია	უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების გარემო მოსახლეობისა და ტურისტებისთვის	0

2	სასოფლო დასახლებებში არსებული მოძველებული წყალარინების რეაბილიტაცია	მუნიციპალიტეტის სოფლები	მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული მოძველებული წყალარინების რეაბილიტაცია ქუჩების მიხედვით მონიტორინგის დასკვნების საფუძველზე	უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების გარემო მოსახლეობისა და ტურისტებისთვის	3 500 000
3	ახალი წყალარინების მშენებლობა მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებებში	მუნიციპალიტეტის სოფლები	სანიაღვრე არხების გარეშე არსებული ქუჩების იდენტიფიცირება, სამშენებლო პროექტების მომზადება და არხების მშენებლობის უზრუნველყოფა	უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების გარემო მოსახლეობისა და ტურისტებისთვის	2 800 000

1.4. სტრატეგიული მიზანი: ქალაქ ლანჩხუთის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	ლანჩხუთში არსებული საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია	ქალაქი ლანჩხუთი	ქალაქის მოძველებული საკანალიზაციო ქსელის განახლების ღონისძიებათა დაპროექტება და განხორციელება	შემცირდება მოსახლეობის დაავადებათა რისკი, გაუმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები	18 000 000
2	ქალაქ ლანჩხუთის კანალიზაციის გამწმენდი ობიექტის მშენებლობა	ქალაქი ლანჩხუთი	ქალაქ ლანჩხუთის კანალიზაციის გამწმენდი ობიექტის დაპროექტება და მშენებლობა	შემცირდება გარემოზე ზემოქმედება და დაბინძურება	4 000 000

2. სტრატეგიული მიმართულება: მყარი ნარჩენები

ხედვა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებიდან დადგენილი გრაფიკით ხორციელდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. სტიქიური ნაგავსაყრელები აღარ არსებობს და არ ხდება ნარჩენებით გარემოს დაბინძურება. შესაძლებელი გახდა ნარჩენების სეპარირება და პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება. ფერმერები იყენებენ ნარჩენების კომპოსტირებით მიღებულ ორგანულ სასუქებს.

2.1. საპროექტო მიმართულება: მუნიციპალური ნარჩენების მართვის მკაცრი გრაფიკის შემოღება და იმპლემენტაცია

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	ნარჩენების მართვის გრაფიკის შემოღება და დამტკიცება კომპეტენტური ორგანოს მიერ	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის დამტკიცებისა და მონიტორინგის პირობებში ა(ა)იპ „ლანჩხუთსერვისის“ მიერ ნარჩენების გატანის გრაფიკის მკაცრი დაცვა.	გაიზრდება მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხი, გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, შემცირდება გარემოზე ზემოქმედება	0

2.2. საპროექტო მიმართულება: მყარი\ მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაცია

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მყარი ნარჩენების მინიმიზაციის თვალსაზრისით	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტის მერიისა და გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება მყარი ნარჩენების შემცირების თვალსაზრისით	გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, შემცირდება გარემოზე ზემოქმედება	10000

2.3. საპროექტო მიმართულება: მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებიდან მყარი ნარჩენების გატანის უზრუნველყოფა.

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	ნარჩენების გატანის შეუფერხებელი სერვისის წარმოებისთვის შემსრულებელი ორგანიზაციის შესაბამისი ტექნიკით დამატებითი უზრუნველყოფა.	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტის მიერ ნაგავმზიდი ტექნიკის შესყიდვა	შესაძლებელი გახდება მყარი ნარჩენების გატანის ქსელის გაფართოება მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით	2 000 000
2	მყარი ნარჩენების გატანის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტიდან	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	• მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში სანაგვე ურნების განლაგება • მყარი ნარჩენების გატანის უზრუნველყოფა გრაფიკის მიხედვით	გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, შემცირდება გარემოზე ზემოქმედება	1 200 000

2.4. საპროექტო მიმართულება: შეგროვებული ნარჩენების ღირებულ მეორად რესურსად ან ენერგიის წყაროდ გამოყენება და ნაგავსაყრელზე ტრანსპორტირებული ნარჩენების რაოდენობის შემცირება/მინიმიზაცია

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	პლასტმასის ნარჩენების სეპარაცია და შესაბამისი ნედლეულის მიღების უზრუნველყოფა	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	• პლასტმასის შესაგროვებელი ურნების განლაგება მყარი ნარჩენების ურნების გვერდით • თანამშრომლობა კერძო საწარმოსთან პლასტმასის მეორადი ნედლეულის მისაღებად	• შემცირდება გარემოზე ზემოქმედება • გაჩნდება ახალ სამუშაო ადგილები	130000

2	მყარი ნარჩენების კომპოსტირება	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტის ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება ბიო სასუქთან მიმართებაში	• გარემოზე ზემოქმედების შემცირება • ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისგან სასუქის მიღება • ბიოლოგიურად სუფთა აგრო პროდუქტების მიღება	22500

3. სტრატეგიული მიმართულება: სოფლის მეურნეობა

ხედვა: მკვეთრად გაიზარდა წარმატებული ფერმერული მეურნეობების რაოდენობა, გარემოზე ზემოქმედების არ მქონე სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ადგილობრივი გადამამუშავებელი საწარმოები განაპირობებენ ღირებულებათა ჯაჭვის სრულ ციკლს და შესაბამისად პროდუქციის მაღალ კონკურენტუნარიანობას როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. განვითარებულია აგრო ტურიზმი. რეაბილიტირებულია სასოფლო - სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზები და დაცულია საერთო სარგებლობის საძოვრები. მოსახლეობა სრულად ამუშავებს სავარგულებს, რომლებიც გაწმენდილია სარეველა მცენარეებისგან. გარემოზე მკვეთრი ზემოქმედების გარეშე ჩატარებულია სამელიორაციო სამუშაოები.

3.1. საპროექტო მიმართულება: სასოფლო - სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	სავარგულებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	სავარგულებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოების დაგეგმვა და იმპლემენტაცია	გაიზრდება მოსახლეობის შემოსავალი მნიშვნელოვნად მოიმატებს ინვესტიციები აგრო საწარმოების მიმართულებით	7 000 000

3.2. საპროექტო მიმართულება: სასოფლო - სამეურნეო სავარგულების აღდგენა

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	სასოფლო - სამეურნეო სავარგულებიდან ბუჩქოვანი აკაციის („ჩოჩოპა“) ელიმინაციის ღონისძიებები	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	შესაბამისი მომსახურების შესყიდვის გაფორმება კერძო სექტორთან და ელინინაციის ღონისძიებების ჩატარება	• გაიზრდება მოსახლეობის შემოსავალი • გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო	1 200 000
2	ბუჩქოვანი აკაციის („ჩოჩოპა“) საშეშე მასალის მომზადების ხელშეწყობა	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლება აკაციის ამ ჯიშის საშეშე მასალის შემოსავლიანობასთან გაკავშირებით და საწარმოთა დაფუძნების ხელშეწყობა	• გაიზრდება მოსახლეობის შემოსავლები • გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო	800 000
3	სასოფლო სამეურნეო - სავარგულების მელიორაციის ღონისძიებების ჩატარება	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	სასოფლო სამეურნეო - სავარგულების მელიორაციის ღონისძიებების ჩატარება დაჭაობებული სავარგულების ფუნქციონირების აღსადგენად	• გაიზრდება მოსახლეობის შემოსავლები • გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო	მოქმედებს სამელიორაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციისა და ზედამხედველობის პროგრამა

3.3. საპროექტო მიმართულება: დასახლებების თავშეყრის ადგილების ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის გაუმჯობესება და დაცვა

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	სკვერების გამრავალფეროვნება;	ქალაქი ლანჩხუთი;	მცენარეების დარგვის ღონისძიებები	ამაღლდება მოსახლეობის გარემოს დაცვითი ცნობიერება;	700 000

	რეკრიაციული ზონების მოწყობა - გაფართოება	მუნიციპალიტეტის სოფლები	შემოღობვა და რეკრიაციული ზონების მოწყობა - გაფართოება	გაუმჯობესდება ბავშვთა და მოზრდილთა ჯანმრთელობა	

3.4. საპროექტო მიმართულება: აგრო ტურიზმის ობიექტების შექმნა განვითარების ხელშეწყობა

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	არსებული ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერატივების ხელშეწყობა აგრო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	ტრენინგ ციკლის ჩატარება აგრო ტურიზმის მომგებიანობაზე აგრო ტურიზმის ობიექტების წახალისება	გაიზრდება არსებული ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერატივების შემოსავალი მოიმატებს დასაქმებულთა რაოდენობა	2 500 000
2	არსებული და პროექტის ფარგლებში შექმნილი აგრო ტურიზმის ობიექტების ცნობადობის ამაღლება	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	დაძმობილებული მუნიციპალიტეტებისა და ტურისტული ბიუროების მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება აგრო ტურიზმის ობიექტების ცნობადობის ასამაღლებლად	გაიზრდება არსებული ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერატივების შემოსავალი მოიმატებს დასაქმებულთა რაოდენობა	8500

4. სტრატეგიული მიმართულება: გლობალური დათბობისა და ბუნებრივი კატასტროფებისადმი მედეგობა

ხედვა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლება გაზიფიცირებულია, შედეგად მკვეთრად შემცირდა საშეშე მასალაზე მოთხოვნა, შენარჩუნებულია ტყე, მოიკლო მეწყრების საშიშროებამ. მდინარის კალაპოტებიდან აღარ გააქვთ სამშენებლო

მასალები, რამაც გამოიწვია მდინარის მიერ სავარგულების, საცხოვრებელი კარმიდამოების და ინფრასტრუქტურის დაზიანების შემცირება. შესწავლილია და მიმდინარეობს არსებული მეწყრული ზონების მიერ გარემოზე ზემოქმედების შემცირების სამუშაოები. აღკვეთილია ბიო სისტემაზე ადამიანის უკანონო ქმედება. გარემო გახდა მიმზიდველი, განვითარდა ეკო ტურიზმი, როგორც კოლხეთის ეროვნული პარკის, ასევე სხვა ტერიტორიებზე.

4.1. საპროექტო მიმართულება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლების ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლების ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა	ნიგვზიანის, ნინოშვილის, ჯურუყვეთისა და ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულები	4 ადმინისტრაციულ ერთეულში ბუნებრივი აირის მაგისტრალის შეყვანა	გაუმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, შემცირდება გარემოზე ზემოქმედება	მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები

4.2. საპროექტო მიმართულება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლების მეწყრული ზონების ინვენტარიზაცია და მათ მიერ გამოწვეული ზარალის შემცირების ღონისძიებების ორგანიზება.

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	მეწყრული ზონების ტექნიკური ინვენტარიზაცია	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	მეწყრული ზონების ტექნიკური ინვენტარიზაცია მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ	შესაძლებელი გახდება არსებული ზონების მიერ გავლენის შემცირების ღონისძიების კონკრეტული დაგეგმვა	0
2	მეწყრების მიერ გამოწვეული ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების ორგანიზება	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	მეწყრული ზონების მიერ გავლენის შემცირების ღონისძიების კონკრეტული გადაჭრა	შემცირდება გარემოზე მიყენებული ზიანი; გაუმჯობესდება საცხოვრებელი და სატრანსპორტო გარემო	6 500 000

4.3. საპროექტო მიმართულება: გაბიონების სისტემისა და სადრენაჟო გადაწყვეტები წყალდიდობების რისკის შესამცირებლად

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	სადრენაჟე სისტემების დაგეგმვა და სისტემის მშენებლობა	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	სადრენაჟე სისტემის დაგეგმვა და მშენებლობა შესაძლო წყალდიდობის ადგილებში	შემცირდება გარემოზე მიყენებული ზიანი; გაუმჯობესდება საცხოვრებელი და სატრანსპორტო გარემო	800 000
2	წყალდიდობების წარმოქმნის რისკის თავიდან აცილების ღონისძიებების გატარება	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	• მდინარეების სანაპიროებზე მცენარეული საფარის დარგვა - გაშენება; • გაბიონების აშენება განსაკუთრებით მეწყერ საშიშ ადგილებში	შემცირდება გარემოზე მიყენებული ზიანი; გაუმჯობესდება საცხოვრებელი და სატრანსპორტო გარემო	8 600 000

4.4. საპროექტო მიმართულება: გარემოზე ზემოქმედების მკაცრი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება და ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების ორგანიზება

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	მყარი ნარჩენების სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობის მკვეთრი შემცირება მკაცრი მონიტორინგისა და კონკრეტულ ადგილებში სანაგვე ურნების დამატებით.	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	• მყარი ნარჩენების სტიქიური ნაგავსაყრელების მონიტორინგი • კონკრეტულ ადგილებში სანაგვე ურნების დამატება.	შემცირდება გარემოზე მიყენებული ზიანი; გაუმჯობესდება საცხოვრებელი და სატრანსპორტო გარემო	7000

2	მდინარეების კალაპოტებიდან სამშენებლო მასალის მოპოვების მონიტორინგი და მკვეთრი შემცირება.	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	მდინარეების კალაპოტებიდან სამშენებლო მასალის მოპოვების მონიტორინგის წარმოება	შემცირდება გარემოზე მიყენებული ზიანი; გაუმჯობესდება საცხოვრებელი და სატრანსპორტო გარემო	0

5. **სტრატეგიული მიმართულება: ტრანსპორტი**

ხედვა: მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გადაადგილდება საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც მკაცრად აკმაყოფილებს დადგენილი ტექნიკურ მოთხოვნებს.

5.1. საპროექტო მიმართულება: საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელი დაბალი ემისიებით, ხმაურით და უსაფრთხო პარამეტრებით

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელი დაბალი ემისიებით, ხმაურით და უსაფრთხო პარამეტრებით	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელისთვის ემისიებით, ხმაურის და უსაფრთხო პარამეტრების სტანდარტების დაწესება	შემცირდება გარემოზე მიყენებული ზიანი; გაუმჯობესდება მოსახლეობის ჯანმრთელობა	0

5.2. საპროექტო მიმართულება: მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში ხორციელდება შიდა სატრანსპორტო გადაზიდვები.

N	პროექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	სტრატეგიის ამოცანა	მოსალოდნელი შედეგი	სავარაუდო ბიუჯეტი
1	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში ხორციელდება შიდა სატრანსპორტო გადაზიდვები.	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	კერძო ორგანიზაციებისა და პირებისგან მომსახურების შესყიდვა სატრანსპორტო გადაზიდვებზე	გაუმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები	0